



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87.87221875

თარიღი:06/07/2022

განკარგულება №20

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ფიჩხოვანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორია) 20130კვ.მ მიწის ნაკვეთის, ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ ფიჩხოვანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორიის) 20130კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.09.36.416) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის წლიური ქირის საწყისი საფასური:

ა) საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით -1175.00 (ერთიათას ასსამოცდახუთმეტი) ლარის ოდენობით;

ა.ა) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10 (ათი) წელი.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



